 კვირა, 22 ოქტომბერი, 1917 წ.

redaqciis adrasi: tfilisi, oldaxi qucha, № 6. telefoni 16—17.

ფასი 35 კაპ.

მართალი №43 1917

რევოლიუცია ღრმავდება.



იდეა ამ სურათის შინაარსისა ნასესხებია სოლომონ ზურგიელიძის 1905 წლის ერთი პატარა ნაწყვეტიდან, ხოლო მისადაგებულია დღევანდელ მომენტზე. ვენიოსური აზრი არასოდეს არ ჰკარგავს მნიშვნელობას.

ძვირფასი ნაფოი

„ეძიებდეთ და ჰპოებთ“.

ჩემს ხელნაწერებში აღმოჩნდა სოლომონ ზურგიელიძის ხელით ნაწერი პატარა, მაგრამ უდიდესი მნიშვნელობის ლექსი. მე ვიჩქარი მგოსნის ტრაღიკული გარდაცვალების მეორე წლისთავზე მივანიჭო ჩვენს მკითხველთ და აგრეთვე მთელ ქართველ ერს უაღრესი სიამოვნება მისი წაკითხვისა. აღნიშნული ლექსის კრიტიკულ განხილვაში მე არ შევდივარ, ვინაიდან ეს შეადგენს ამხ. მორიელის სპეციალურ საგანს.

პატივისცემით ეშმაკი.

სამშობლო

— ჰოემა —

(ძველის ძველი ხელნაწერიდან)

ჩემი სამშობლო იგია,
სადაც მე დავიბადეო,
სადაც გავხილე თოლები
და გავიზედე იმითო.
არ გავსცვლი იმას,
არ გავსცვლი
არ გავსცვლი
არა, არაო.

სადაც მე მყავდა დედ-მამა
დები და მამიდებიო,
ბიკოლა (წერეთლის ქალი)
სხვაც ბევრი ნათესავები.
არ გავსცვლი იმას,
არ გავსცვლი
არ გავსცვლი
არა, არაო.

სადაც მე მითამაშნია
ბურთი და მოედანიო,
მე იქ მოკვდები ცოცხალი
შავს მიწას მიმაბარებენ.
არ გავსცვლი იმას,
არ გავსცვლი
არ გავსცვლი
არა, არაო.

იგია ჩემი სამშობლო,
არ გავსცვლი იმას ჩინშიო,
იქ მირჩევნია სიკვდილი
სხვაგან სულდგმულათ დარჩენას.
არ გავსცვლი იმას
არ გავსცვლი
არ გავსცვლი
არა, არაო.

ი. დი სოლომონ ზურგიელიძე.

სოლომონ ზურგიელიძე

და მისი პოეზია.

ჩვენს, ქართველ კრიტიკოსებს, სხვა მრავალ ახირებულ ახირებულებათა გრდა, ერთი უახირებულესი ახირებულებაც სჭირთ.

„კარგი რამ სჭირდეთ გიკვირდეთ, ავი რა საკვირველია!“

როდესაც დიდებული მწერალი და ღრმა მოაზრე დაბალ წრიდან არის წარმომდგარი, მაშინვე ბუკსა და ნაღარას დაჰკრავენ: —შეხედეთ, ხალხნო და ჯამაათნო, რა კაცი გამოვიდა დაბალი წრიდან, ღარიბი ოჯახიდანაო.

ჩვენის ღრმა რწმენით ეს სასტიკი, მიუტევებელი შეცდომაა. ჩვენ დიაღაც არ უნდა გვიკვირდეს, თუ დიდბუნებოვანი ადამიანი ღარიბი წრიდან მოგვევლინება, ვინაიდან ეს ასეც უნდა იყოს. მაგრამ როდესაც ერის სიამაყე მდიდარ ოჯახისა, ან წარჩინებული გვარისაგან მომდინარეობს, აი აქ ჩვენს განცვიფრებას ქეშმარიტათ უნდა მიეცეს ფართე ასპარეზი და გასაქანი.

„საიდან სადაო, წმინდაო საბაო!“ ამ კრიტიკულ წერილში ჩვენ ვერ ვიზიარებთ ბრიუნეტიერის მიერ აღიარებულ ევოლიუციონურ მეთოდს და რამოდენიმეთ ვეთანხმებით ირ. წერეთლის მიერ გამოთქმულ აზრს“ რომანტიზმის, რეალიზმის, სიმბოლიზმის ჩანასახები თითეული ერის შემოქმედებაში მოიპოება, როგორც უძველეს ხანებში, აგრეთვე ჩვენს დროშიაც“ ო.

უდიდესი ქართველი მოღვაწე, სოლომონ ზურგიელიძე, სრულს უფლებას გვაძლევს მტკიცეთ შევრჩეთ ამ მოსაზრებას. მის შეუდარებელ ლექსებში უხვად არის გაბნეული მომჯადოებელი სტრიქონები ლიტერატურული „გვარების“ ამა თუ იმ დარგებიდან. აქ სიმბოლიზმი მჭიდროთ არის გადაწნული რეალიზმთან, რეალიზმი რომანტიზმთან, რომანტიზმი მისტიციზმთან, ხოლო ყველანი ერთად ხლართულის რგოლებით გადაჯაჭვულ არიან აწ ჩვენს ლიტერატურაში გამეფებულ სქესობრივ ფუტურიზმთან.

მეტიჩრობა იქნებოდა ჩემი მხრით, მეიკსრა სოლომონ ზურგიელიძის მოღვაწეობათა ყოველმხრივი განხილვა. მე ჩინებულათ მესმის, რომ ეს ერთი ადამიანისათვის, რაც უნდა ბუმბერაზი ნიჭის პატრონიც იყოს იგი, ყოვლად დაუძლეველი ტვირთია. მე ჩემს თავს ბედნიერათ ჩავსთვლი, თუ ნაკისრ დარგს, სახელდობრ პოეზიას დიდებული მგონისას ოდნავ გავარკვევ. რაც დღე მოდის სულ ახალ-ახალი ხელნაწერები ჩნდება მგოსნისა, ერთიმეორეზე უკეთესი, ერთიმეორეზე უფრო მომხიბვლელი. ეს გარემოებაც, ცოტა არ იყოს ართულებს მკვლევარის შრომას.

———

საჭიროა აღინიშნოს, რომ სოლომონის შემოქმედება ორ ხანად იყოფა:

ა) ლექსები უწინ დაწერილი.

ბ) ლექსები შემდეგ დაწერილი.

მართალია მათ შორის მჭიდრო კავშირია, მაგრამ განსხვავებაც ერთობ საგრძნობია, უმთავრესად პოჩერკის მხრივ.

ერთ უაღრესსა და უშესანიშნავეს ლექსს სოლომონისას წარმოადგენს ახლად აღმოჩენილი პოემა „სამშობლო.“ სამწუხაროთ ხელნაწერს არა აქვს დასმული დატა, თუ როდის არის იგი შექმნილი ავტორის მიერ, მაგრამ პოჩერკის საშუალებით ჩვენ თამამად შევვიძლია „სამშობლო“ უწინ დაწერილ ლექსთა კატეგორიას მივათვალოთ.

პირველ თვალის გადავლებისთანავე პოემა, „სამშობლო“ თქვენ მოგაგონებს რაფ. ერისთავის ცნობილ ლექსს: „სამშობლო ხევსურისა.“ არავისთვის საეჭვო არ არის, რომ იმ დროს, როცა სოლომონის გენია აღნიშნულ პოემას ქმნიდა რაფიელ სკოლაშიაც არ იქნებოდა მიბარებული და ამიტომ რაფიელ ერისთავს აზრი უთუოდ ნასესხები აქვს.

ამ აზრის დასასაბუთებლ დ საკმარისია ერთი პატარა შენიშვნაც. პირველი კუპლეტი პოემისა ამბობს:

„ჩემი სამშობლო იგია,
სადაც მე დავიბადეო,
სადაც გავხილე **თოლები**
და გავიხედე იმითო.“

სიტყვა „თოლები“ ხევსურული გამოთქმაა „თვალები“-სა და ცხადია რაფ. ერისთავმა როცა ის სოლომონს სიუჟეტს „პარავდა“ განგებ დაარქვა „თავისს“ ლექსს „სამშობლო ხევსურისა.“

სიტყვაკაზმული სიმშვენიერე ამ ტაეპისა ყოველივე ეჭვს შეუძლებელყოფს სოლომონის ვარიანტის უპირატესობასა და პირველობაში. თვით გრძნობა სამშობლოს მოყვარულობისა სოლომონის პოემაში არ არის ისეთ ვიწრო ფარგლებში ჩაყენებული, როგორც ეს რაფიელ ერისთავს უქნია თავისს „სამშობლო ხევსურისა“-ში. მართლაც რისთვის მარტო ხევსურს უნდა უყვარდეს სამშობლო და არა ყოველ ქართველს, როგორც სოლომონი ამბობს?

საინტერესოა პოემის მეორე ტაეპიც:

„სადაც მე მყავდა დედ-მამა,
დები და მამიდებიო,
ბიცოლა (წერეთლის ქალი)
სხვაც ბევრი ნათესავები“

ახლად აღმოჩენილი სურათი, „შობა სოლომონ ზურგიელიძისა“ (იხილე მე 16 გვერდი) გასაოცარის სიცხადით ადასტურებს ამ ტაეპის შინაარსსა და მასში ჩამარხულ საიდუმლოებას. როგორც ხედავთ სოლომონი იხსენიებს **დებს**, მამიდებს დ-ბიცოლას, რომელიც ყოფილა წერეთლის ასული ზურგიელიძისა. **ძმების** შესახებ მგოსანი სდუმს და ეს იმიტომ, რომ ის ერთად ერთი ვაჟიშვილი იყო ზურაბ ზურგიელიძისა.

ჩვენ შორს წაგვიყვანდა თითოეული კუპლეტის ცალკე განხილვა, მიუხედავათ მათი ღირებულებისა. თუ მგოსან რობაქიძის აზრით თითოეული ტაეპი „ვეფხის ტყაოსნისა“ ათას-ათას დღიურ მიწათ ღირს, რა უნდა ეღიროს მაშინ აი ეს ოთხი მოსმა დიდებული კალმისა:

„სადაც მე მითამაშია
ბურთი და მოედანიო,
მე იქ მოკვდები ცოცხალი
შავს მიწას მიმაბარებენ“

რობაქიძის არშინით რო ვზომოთ მგონი დღევანდელ ქართველთა რეალურ მოსახლეობის ტერიტორია არც კი ეყოფოდა მარტო ერთ ლექსს სოლომონ ზურგიელიძისას.

მეორე, ახლად აღმოჩენილი ლექსი უკვდავი ავტორისა საგმირო მუზის ნაყოფია. სათაური მისი „**ხანჯალი**“ თავისთავად ნათელყოფს, რომ მგოსანი მუზა ჩვენი მამა-პაპული იარაღის გარშემო ტრიალებს და ერთობ შორს არის გადაგვარების ტენდენციისაგან, რომელმაც თავი იჩინა ახლგაზდა ქართველ მწერლებში. აი თვით ლექსიც.

ხანჯალი

ხანჯალო, შესატევარო,
რკინა ხარ ფოლადისაო.
ტარი გაქვს გაკეთებული
შავი ძროხის რქის ძვალიდან.
ფართეცა ხარ და გრძელიცა
ფიქვის ყავარსა ჰგევხარო
ორივე მხრიდან პირი გაქვს
ყუა აბა სად გექნება.
მტერს რომ გაგიყრი მუცელში
მიგატრი, მოგატრიალებ
ნაწლევი გადმობრუნდება
სისხლი წამოვა ღვარათო.
მე იმით თავ-პირს დავიბან
ულვაშებს შევიღებავო
მტერი კი იქვე მოკვდება
ალილუია იმასო.
იმისი ოხვრა იქნება
ჩემთვის ნანინას სიმღერა
დედამ თუ შვილი გაზარდოს
ხანჯალო, შენისთინაო.

„სულეიმან ოღლი.“

მიუხედავათ ჩვენი ერის პარტიული დაქსასულობისა, არა მგონია აღმოჩნდეს ისეთი ქართველი, რომლის გულიც არა სცემდეს ამ ლექსის წაკითხვის დროს.

მე არ შევუდგები აქ ვრცლათ ამ ძვირფასი განძის განხილვას, მაგრამ უფლება არა მაქვს ორიოდე სიტყვა არა ვსთქვა მის ძირითად საფუძველზე. ცხადია ეს ლექსიც ავტორს უწინ დაუწერია, ე. ი. შემდეგი ლექსების დაწერამდე. ამას უმთავრესად ასაბუთებს ლექსის უძლიერესი და მხატვრულის მხრით შეუდარებელი ტაეპი:

„მე იმით თავ-პირს დავიბან
ულვაშებს შევიღებავო
მტერი კი იქვე მოკვდება
ალილუია იმასო“.

როგორც ხედავთ ავტორი ფიქრობს მტრის

სისხლით, რომელიც „ღვარათ წამოვა“ ხანჯალ ნაკრავ მუცლიდან, შეიღებოს ულვაში და დაიბანოს თავ-პირი. წვერის შესახებ აქ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი და ვინ არ იცის, რომ სოლომონი წვერს არ იპარსავდა. მაშასადამე ცხადია ავტორს ლექსის წერის დროს მხოლოდ ულვაში ჰქონია აბიბინებული და წვერს მხოლოდ ელოდა იმისი ღვთაებრივი ღაწვი.

საინტერესოა მეორე მხარეც ლექსისა. სოლომონი სწერს:

იმისი კვნესა იქნება
ჩემთვის ნანინას სიმღერა,
დედამ თუ შვილი გაზარდოს
ხანჯალო შენისთანაო.

აქ ავტორი სიცოცხლის სულსა ჰბერავს უსულო ხანჯალს და ადარებს მას შვილს: „დედამ თუ შვილი გაზარდოს, ხანჯალო შენისთანაო!“ არა ერთსა და ორ ქართველს უძღვნია ნაყოფი თავისი მძლავრი მუზისა ხანჯალისათვის, მაგრამ ამ კლასიკურ სიმშვენიერემდე არავინ ასულა. იმავე აზრს, რაიც გამოთქმულია ზემორე ამისა მოყვანილ სოლომონისეულ ლექსის ტაეპებში, მგოსანი აკაკი ასე მკრთალად გამოსთქვამდა:

„მისი წითელი მელნითა
შემაღებინე ჭაღარა,
იმისი კვნესა იქნება
ჩემთვის დაფი და ნაღარა“-ო და ეს სიმკრთალე მარტო იმ გარემოებით არ აიხსნება, თითქო აკაკის თავისი „ხანჯალი“ ჭაღარაობის დროს დაეწეროს, ხოლო სოლომონს კი ჟამსა სიჭაბუკისას. ასეთი შეხედულობა შეცთომა იქნებოდა.

ახირებულია ერთი გარემოება ჩვენს მწერლობაში: ორი სხვა და სხვა პიროვნება ერთი მეორის დამოუკიდებლათ ერთსა და იმავე აზრს თითქმის ერთისა და იმავე სიტყვებით გამოსთქვამენ. ამ შემთხვევაში ბრალი თუ ვინმე ედება, რასაკვირველია იმას, ვინაც შემდგომად გამოსთქვა და არა იმას ვინაც პირველათ ააჟღერა ჩანგი. სანიმუშოდ მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს. სოლომონი თავისს შესანიშნავ ლექსში „დროშა“-ში ამბობს:

„აბა ჰა, შენ ზევით! აბა ჰა, მე ქვევით!
მხარი მხარს მივსცეთ ერთმანეთსაო
სისხლი გვწყურია, სისხლი უნდა ვსვათ
და ნაზი გული გესლით გავბეროთ.

ამავე საგანზე თანამედროვე ჩვენი მგოსანესა ქალი განდეგილი გაზეთ „საქართველოს“ 1916 წლის მე 254 ნომერში სწერს:

„მაშ გადმომძახე! შენ მანდ და მე აქ!
აღვმართოთ დროშა საზატგმირო.“
სისხლი მწყურიან და, გაშმაგებულს
გესლათ მქცევია სულის სინაზე,“

ჩვენ შორსა ვართ იმ ზრახვიდან, თითქო პატივცემულ მგოსანესა ქალის შემოქმედებით ორიგინალობაში ეჭვი შეგვქონდეს, მაგრამ უპირატესობას უკვდავი სოლომონის წინაშე ძას მაინც ვერ დავუთმობთ.

—

სოლომონი ძლიერი და შეუდარებელია არა მარტო საგმირო ლექსებში. მისი ლირიზმი, ეგ ნამდვილი მუსიკაა ბუნებრივი და ძალდაუტანებელი. ჰკითხულობთ და გგონიათ თქვენს წინაშე პირდაღებული ანგელოზი მღეროდეს, იმზომ კეთილხეოვანი და სასმენათ საამურია ლირიკული ნაწარმოები ჩვენი უკვდავი მგოსნისა.

„როგორც მოაწევს მაისი, ტყეები
ფურცლებს შლიანო.
ზამთარში ისევ კვდებიან ზარითა და ზეი-მითა...
ცხოვრება მარად ასეა, ცხოველისა და შეშისო
ჯერ ბადებს ქვეყნად რაღაცა, მერე კი
მოკლავს სიკვდილი.“

საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ღრმა მცოდნე ბუნებისა იშვიათია ჩვენს მგოსანთა შორის და სოლომონ ზურგიელიძე ამ ხრივაც თითიც საჩვენებელ [illegible]ოხაკლისს წარმოადგენს.

საინ[illegible]ო ოა სოლომონის მიერ პირველათ ხმარებულ[illegible]ლ[illegible]ფიკაცია საგნებისა. საზოგადოთ მიღებულია [illegible]ნთა ორ დარგათ გაყოფა: სულიერათ და უსულოთ. მაგრამ მხატვრული ნიჭი რიდასი მხატვრული იქნებოდა, თუ ჩვეულებრივის ნაცვლად უჩვეულოს, მაგრამ უაღრესად მისადაგებულს და უწმვერვალესათ მხატვრულ ფორმას არ მოსძებნიდა. და აი სოლომონიც უკუაგდებს ჩვეულებრივს და სჭედს:

„ცხოვრება მარად ასეა
ცხოველისა და შეშისო.“

კეთილხმოვანებაც, თვალწარმტაცი ფორმაც და ღრმა შინაარსიც ერთი კალმის მოსმით უკვე მზათ არის.

თანამედროვე მგოსნებში სოლომონს თითქმის

ყველა ახალგაზრდა ენათესავება. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან იმ ნიადაგს, რომელზედაც ისინი აღმოცენდენ თამამად შეგვიძლია „სოლომონის ნიადაგი“ ვუწოდოთ. გასული (1916) წლის „თეატრი და ცხოვრებას“ მე 46 ნომერში მოთავსებულია ცნობილი ქართველი მგოსნის ილ. მოსაშვილის ლექსი, სადაც თითქმის იგივე აზრია გამოთქმული, რაიც ზემოაღნიშნულ სოლომონის ტაეპში ამოვიკითხეთ, მაგრამ რასაკვირველია უფრო მკრთალათ და ზეზეურათ:

ვმაისობთ, ვიშლებით ვციგლიგობთ, ვიცინით
ზამთრდება-ვკვდებით და მოვდივართ ქვითინით
(ილ. მოსაშვილი)

ჩვენ რასაკვირველია ბ-ნ ილ. მოსაშვილს ვერ მოვსთხოვთ ვერც ისეთ ღრმა ცოდნას ბუნებისას და ვერც ისე მკაფიოდ სურათის გამოხატვას, როგორც ეს სოლომონს სჩვევია, მაგრამ მწერლისათვის მაინც მეტი დაკვირვებაა (თუ ცოდნა არა) საჭირო.

„თეატრი და ცხოვრებას« იმავ მე 46 ნომერში მოთავსებულია მეორე მშვენიერი ლექსი დამსახურებული ავტორის დ. გაბრუაშვილისა, სახელწოდებით „**კვლავ დავბრუნდი**“ იქ სხვათა შორის სწერია:

„რა რომ ვისმინე
სანატრელი მტკვრისა დუდუნი
უმალ ამომხდა
ნესტიანი გულის ღიღინი.
შენის ტრფობითა
აღგზნებული გინდ ზეცას ავალ
ვერ შემაშანებს ჯოჯოხეთი
გინდ ქვესკნელს ჩავალ.
და შემიყვარებს ჩემი სარტფო
გულისა სწორი
მან უკვე იცის ჩემი საქმე,
ვით ორჯერ ორი.
(დ. გაბრუაშვილი)

მართლაც ღრმა აზრითა და მიმზიდველი პოეტური ფორმით არის შეზავებული აღნიშნული მგრძნობიარე ლექსი დ. გაბრუაშვილისა, მაგრამ მაინც უძლურ-უსუსურია მისი შემოქმედება სოლომონის მაგვარსავე ნაწარმოებთან შედარებით. ჯერ კიდევ 1879 წელს, როცა პირველათ დაუბრუნდა სამშობლოს რუს-თათართა ომიდან მომავალი სოლომონი მან დასწერა:

რაკი რიონო, შენ მდინარევ,
მე დაგინახე
მყისვე შემენძრა გულის ჩემის
ჭაობი ზღუდე
და შენი ნახვით განაშლეგი
მონაჯადვარი
გინდ ცაზე გავალ, გინდ ქვესკნელში
გინდა ჯანდაბას.
მე შენ გიყვარხარ და კიდევაც
ვიცი რას ამბობ
როცა მოჰქუხი რაკრაკითა
ვით ორჯერ ორი.
(„სალამი“ სოლ. ზურგიელიძე)

მე სრულიადაც არ მიკვირს და ან ვის გუკვირდება, თუ ნორჩმა კალამმა დ. გაბრუაშვილისამ ისე ვერ გამოჰკვეთა აზრები, როგორც ამას სოლომონის მძლავრი ხელი სჩადის. მაგალითისათვის მხოლოდ ორი განაწერა ავიღოთ. ბ-ნი გაბრუაშვილი ამბობს: უმალ ამომხდა **ნესტიანი გულის** ღიღინი. იგივე აზრი ჩვენს შეუდარებელ მგოსანს გაცილებით უფრო გაღრმავებული აქვს, როცა ამბობს:

„მყისვე შემენძრა გულის ჩემის
ჭაობი ზღუდე“-ო.

აგრეთვე საყურადღებოა სამშობლოსათვის თავგანწირულება მგოსანთა. აქაც, რასაკვირველია, ბ-ნი გაბრუაშვილი შუაგზაზე ჩერდება, როცა ამბობს:

„გინდ ზეცას ავალ
გინდ ქვესკნელს ჩავალ“.

სოლომონი აქაც უფრო აღრმავებს საკითხს და სამშობლოს სიყვარულშიაც უკიდურესობამდე მიდის. იგი სწერს:

გინდ ცაზე გავალ,
გინდ ქვესკნელში,
გინდა ჯანდაბას...

აქ თითქმის უკანასკნელი ღონისძიება გადარჩენისა უარყოფილია და სამშობლოსათვის თავდადება უზრუნველყოფილი. თუ ცაზე ასვლისას არ დაიმტვრა მგოსანი, ან ქვესკნელში სული არ შეეხუთა, ჯანდაბას მაინც დაკარგული იქნება და ისაა. ბ-ნ გაბრუაშვილს, ცხადია, დაავიწყდა „ჯანდაბას წასვლა“ და ეს ყოველ შემთხვევაში ღირსებათ მას ვერ ჩაეთვლება.

ვიდრე სიყვარულის პოეზიაზე გიდავიდოდე, საჭიროთ ვსთვლი აღვნიშნო, თუ როგორ ასურათ ხატებდა მგოსანი თვით შემოქმედების მომენტს. ეს ღვთაებრივი მომენტი, ანუ ჟამი როდესაც მგოსანს მუზა მოევლინება, ერთგვარ ფსიხოლოგიურ განწყობილებას იწვევს ადამიანის გონებრივ ცენტრში. საზოგადოთ ეს მომენტი, როგორც მომენტი მშობიარეობისა, დიდ ტანჯვას აყენებს მგოსანს, რომელიც რასაკვირველია სავსებით გამოისყიდება ხოლმე ახალ შობილი ლექსის ან პროზის მშვენიერებით.

ქართველთა შეუდარებელი მგოსანი გიორგი გვაზავა ასე ასურათებს აღნიშნულ მომენტს:

„სდუღს უბედური ჩემი გონება,
სდუღს, როგორც ცეცხლზე შედგმული ქვაბი
და ვერც გაუძლებს ამ დუღილს, ვერა
თავისა ქალა და გულის ძგერა“.

(გიორგი გვაზავა. ლანდი. გვერ. 26—27)

საკმარისია თვალი გადაავლოთ ახალგაზრდა მგოსანის მომხიბლავ ტაეპს, რომ თქვენ თვალწინ დაგეხატოთ სიდიადე იმ შემოქმედებითი ტანჯვისა, რომელსაც მგოსანნი განიცდიან წერის დროს. მაგრამ წაიკითხავთ ამგვარსავე სურათს სოლომონ ზურგიელიძისას და გიორგი გვაზავას მხატვრული ნაწარმოებიდან ბურტყლიც აღარა რჩება.

„როგორც ქოთანში (თიხის) ლობიო,
ისე სდუღს თავში ჩემი გონება...
ტვინი ბობოქობს... აბა რა ბუზი?
თავის ქალაში მე ის მგონია“.

(სოლ. ზურგიელიძე)

მე არა მსურს ერთი დავამცირო და მეორე აღვამაღლო, ვინაიდან სოლომონ ზურგიელიძის ამაღლება სრულიადაც არ საჭიროებს სხვის დამცირებას. ვიტყვი მხოლოდ, რომ გიორგი გვაზავა მისდა სასახელოთ, ერთობ ახლო მიუდგა სოლომონის შემოქმედებას, როგორც რითმათა კეთილხმოვანების, აგრეთვე შინაარსის მხრივაც. სამწუხაროთ პოეტმა უდროო დროს მიატოვა მგოსნობა, რომელიც უცილობელ დაფნის გვირგვინებს უმზადებდა მას. დღეს **პოლიტიკამ** დასჩაგრა მასში მგოსანი.

განსაკუთრებით ღონიერი სოლომონ ზურგიელიძე ტრფობის ჰანგებშია:

„ტრფობის ალები გარს მეხვევიან,
როგორც ბუზები
და ვიდაგები
ვიწვი მწვადივით“-ო.

ამბობს იგი ერთ—ერთ თავის კერძო წერილში კნიაგნა ფრუტუნია ჩუმპოეტისადმი. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ პირველი ლექსი მგოსნისა სწორეთ ტრფობის ალით იყო გაჟღენთილი და მიუხედავათ მრავალ ათწლოვან სიძველისა ჯერაც უდიდესი მიმზიდველობით არის შემკული.

ეს ლექსი არის „**თვალები**“.

როცა ვხედავ ქალებსა,
და ზედ შავ—შავ თვალებსა
მოსვენება მეკარგვის
ვიწვი და ვიდაგები.
ნაპერწკლებს ყრის ჩანჩქერად,
როგორც ტალღა მრისხანე
მე კი კვალად შევყურებ
იმას გაგიჟებული.
იქ იმ თვალში მე ვხედავ
ჩემს მამულს და ქვეყანას
და რომ გრძნობა მომერიოს
ეს გაკვირვებს თქვენ განა?

(კვირტი. იგივე სოლ. ზურგიელიძე)

ამ ლექსს უკვე საკმაოთ იცნობს ჩვენი მკითხველი და საჭიროთ არა ვთვლი მასზე შეჩერებას. ჩვენ მოვიხსენიეთ ის, როგორც პირველი ნაპერწკალი იმ დიდი მუზისა, რომელიც დაენთო ჩაენს სამშობლოში და. დღიდან მისი გაჩირაღდნებისა გზას უნათებს მთელ ერს. ჩვენის ღრმა რწმენით მასზე აღმოცენდა არა თუ ახალგაზრდა მშობლიური მწერლობა, არამედ უფრო მოძველოც.

თვით ი. გრიშაშვილის ვნებიან მუზასაც არ შეუქმნია არაფერი იმის მგვარი, რაიც ისე დაუზოგველის სიუხვით განბნეულია სოლომონ ზურგიელიძის ხელნაწერებსა და ნაბეჭდ ლექსებში. აი სანიმუშოდ ერთი მათგანი:

„როგორც მეხი და ზარი,
თავში ფერი დამკარი
და ვიყვირე სიმწარით
ვაი დედავ, მიშველე!
შენ წიხლი მკარ და მე კი
ფეხის გულში გაკოცე
ოჰ, შენ კი გენაცვალოს
სოლმან ზურგიელიძე.“

ამ პატარა ტაეპებში რომ ჩავსვათ მთელი ათი წლის შემოქმედება ი. გრიშაშვილისა, მას ისე დაეშჩნევა, როგორც ოკეანეს ობოლი წვეთი წვიმისა.

ერთად ერთი სურათი სოლომონ ზურგიელიძისა



როგორც მგოსანთან დაახლოვებულნი პირნი გადმოგვცემენ, ეს ძვირფასი განძი სოლომონის კალმის შემოქმედებისა ეკუთვნის მის ბავშვობის ხანას; დაახლოვებით ის ამ დროს 27 წლისა იქნებოდა.

სურათზე გამოხატულია: მამა მგოსნისა ზურაბ ზურგიელიძე და მისი საყვარელი ცხენი „მალხაზა“.

როცა, ახალ გზაფხულზე, თავადმა ახსნა საბელი და „მალხაზა“ საბალახოთ გაუშო, ცხენი ისევ მობრუდნა და სასახლის კარს მოადგა. ზურაბ გამოვიდა და უთხრა:

— მალხაზ! მომიცია შენთვის თავისუფლება, წადი, იარე საკუთარ ნებაზე, გინდ აღმა, გინდ დაღმა, როგორც მოგეხალისოს.

ცხენმა, მიიარ-მოიარა და ისევ პატრონს მოუბრუნდა. ზურაბი ძლიერ გაცხარდა. გამოიტანა საბელი და შესძახა:

— მე თავისუფლება მოგეცი. შენ ვერ მოიხმარე. მომდგომიხარ კარს: — დამაბი, დამაბი, დამაბიო; აჰა, ჯანი გავარდეს, დაგაბამ!!!

და დაბა „მალხაზა“.

სურათზე გამოხატულია უკანასკნელი სცენა.

როგორ ჰქონიდა ის



ეს მშვენიერი მხატვრობა, ნაწარმოები ძვირფასი მ. ქიაურელის კალმისა, სავსებით გამოხატავს იმ ტრაგიკულ მომენტს შემოქმედებისას, როცა ნეტარხსენებული სოლომონი ჰქონიდა თავისს უკვდავ ლექსებს. აი ამ გვარ მომენტსავე ჰხატავს პოეზიით თვით მგოსანი შემდეგ მკაფიო სიტყვებში:

„როგორც ქოთანში (თიხის) ლობიო,
ისე სდუღს თავში ჩემი გონება...
ტვინი ბობოქრობს; აბა სხვა რაა??.
თავის ქალაში მე ის მგონია“.

(სოლომონ ზურგიელიძე)

„ქალო, კბილებზე რომ გაქვს ტუჩები,
ჩასუქებული ვით ერბო კვერცხი,
ღმერთო შეგცოდე!.. რომ დაგინახე
მე, ღორ მუცელამ, დავაღე პირი
და ვყლაპავ ნერწყვებს გაშმაგებული
მაშ რავქნა, რავქნა?
მეც ხომ მაქვს ტუჩი?

აი ეულკანი ენებისა მხატვრულად ამონახეთქი მგოსნის გულიდან, მშვენიერ ტუჩების დანახვაზე. არ ვიცი, განა შესაძლებელია ამ აზრის უფრო მკაფიოთ, უფრო ენებით, უმეტეს ცეცხლითა და მშვენიერებით გამოხატვა? არა და არა. თვით უდიდეს მგოსანს ილია ჭავჭავაძესაც ვერ მიუღწევია მცირეოდენ მსგავსებამდე, თუმცა იმავ შინაარს ჩასჭიდებია:

„მაგრამ მაინც კი,
როს ვეჭვრეტ ორ ტუჩთა,
დასადნობლათა,
ჩაკოკრებულთა
ღმერთო შემინდე!
მოვყვები **კანკალს**
და მსუნაგსავით
ნერწყვისა ყლაპვას“

(ილია ჭავჭავაძე. ტომი I. გამოც. გედეონიშვილისა გვ. 44.)

უბრალო თვალისთვისაც საკმაოა ერთი შეხედვა, რომ განსხვავება ამ ორ დიად მგოსანთა შორის სოლომონის სასარგებლოთ გადასჭრას. ჩვენ კიდევ ბევრი გვაქვს სათქმელი, ბევრი მარგალიტი გვაქვს გამოსამზეურებელი, მაგრამ სამწუხაროთ ეს წერილი ისედაც გაგვიგრძელდა და იძულებული ვართ აქ შევსწყვიტოთ.

მორიგელი

სოლომონს

(მიბაძვა მისდამი)

შენ დიდებულო სოლომონ,
ვინც მგოსნათ გვეშვი ჩვენთაო,
არ ძალმიძს მე შენს წინაშე
მუხლები არ მოვიდრიკო.

შენი სახელის სხივები
შარავანდედით ნაფერი
გამოჰკრთის ყველაზე უფრო
გაშუქებული სინათლით.

შენ იყავ ჩვენი იმედი,
ბურჯი სამშობლო მგოსნების
და როცა მოკვდი, არ გვყევხარ
ცრემლების მეტი რა დაგვრჩა.

დღეს, როცა ჩაგრულ სამშობლოს
ბედი უღიმის მგონია
უფრო გრძნობს ერი ქართველი
რომ მას სოლომონ აღარ ჰყავს.

შენი უღმერთო სიკვდილი
მეც გულს მისივებს ნაღველით...
აქ ვინ დატოვეთ დიდებო
იქ რომ წახველით ყველანი?

დღეს თქვენი სიტყვა ქვეყნისთვის
საკმეველი კელეპტარია
გიხმობ და არსად მოსჩანხარ
ტარია ჩვენი ქვეყნისა.

შენსა სახელსა ვლოცულობთ
დღეს ქართულ ეკლესიებში...
შენ ყველგან შეტანილი ხარ
სიებში საძეგლე პირთა.

ვადმოიხედე ზეციდან
სასუფეველის კარიდან
შენ მოგიწოდებს ყოველი
ქართველ ჯარიდან მხედარიც.

მოავლე თვალი სამშობლოს
და ანუგეშე ყოველი
მიიღე ნაცვლად იმათგან
დასაკმოველი გულდრეკი.

გამოღვიძული სამშობლო
დაგტირის, დაგჰიხვინებსა
თავზე ნაცარი აყრია
რა გააღიმებს საწყალსა.

ეშმაკი.

სიბრძნე სოლომონისა.

ერთხელ სოლომონ ზურგიელიძე თავად მანუჩარ გაფხეკილაძეს სტუმრათ ეწვია. სადილის შემდეგ ძვირფასი სტუმარი თავადმა ბაღში ჩაიყვანა. სეირნობის დროს მგოსანმა ერთი დიდი ხმელი მუხა დაინახა, კარგათ ახედ-დახედა, მიუბრუნდა მასპინძელს და უთხრა:

— თავადო მანუჩარ, შეხედეთ, აი ეს ხე გამხმარა.

მანუჩარმაც შეხედა მუხას და მართლა ხმელი იყო.

—

როდესაც სოლომონი სასულიერო სასწავლებელს ათავებდა ჩვეულებისამებრ გამოცდა დაუნიშნეს. მაშინ ის თითქმის ბავშვი იყო (24 წლისა) და ყველას აკვირებდა მისი ღრმა განვითარება. ანატომიის მასწავლებელმა კითხვა კითხვაზე დააყარა ჭაბუკს და აშკარათ სჩანდა იმისი ჩაჭრა უნდოდა. ბოლოს, როცა ველარაფერს გახდა, ჰკითხა:

— ზურგიელიძე! აბა გვითხარი რა დანიშნულება აქვს ადამიანის ყურებს?

არც სოლომონი დახვდა ვაგლახათ; სხვა რამ სთქვი, თორემ ანატომია მან თავის ხუთ თითსავით იცოდა.

— ყურის დანიშნულება, ბატონო, ასეთია: ის იჭერს კაცის თავზე ქუდს, რომ არ ჩამოსძვრეს.

მასწავლებელი ისე კმაყოფილი დარჩა ამ პასუხით, რომ დაივიწყა მათ შორის არსებული უთანხმობა და სოლომონს დვოიკა დაუწერა.

მცირე მოგონებანი სოლომონ ზურგიელიძის შესახებ.

იშვიათია ისეთი ქართველი, რომელიც სოლომონს არ იცნობდეს, როგორც მოღვაწეს, განსაკუთრებით კი, როგორც მგოსანს, მაგრამ ბევრს ქართველს არა ჰქონია ბედნიერება პირადათ მისი ნაცნობობისა. საქმე კი სწორეთ ეს უკანასკნელია.

დიახ, ის ვინც იცნობს სოლომონს როგორ მოღვაწეს, იცნობს მხოლოდ მთელი სოლომონის 1/4, ხოლო ვინც პირადათაც მასთან დაკავშირებული ყოფილა ის და მხოლოდ ის იცნობს მთელი-ლა. სოლომონს.

პირველათ მე ჩვენს უკვდავ მგოსანს სოფელ კატიხევში შევხვდი, კნეინა ნესტან ჩხირკედელაძის მიერ გამართულ ლიტერატურულ საღამოზე. კნეინა ნესტან ჩხირკედელაძისას მთელი უბნის მწერალთა თაიგული მოეკრიფა ამ საღამოსათვის, მაგრამ იმ მშვენიერ თაიგულშიაც განსაკუთრებულის ეშხითა, მოხდენილობითა და მიმზიდველობით გამოჭკრთა-და მაშინ კიდევ ახალგაზდა მგოსნის სოლომონის პიროვნება.

გარეგნობას ჩვენ არ ვაქცევთ იმდენ ყურადღებას, მაგრამ სოლომონი მაინც კალმით ნახატისა და მარმალილოსგან ნაკვეთი გარეგნული შეხედულებისა იყო. ყოვლად შეუძლებელი იყო შეგეხედა და არ შეგემჩნია ის. აღნიშნულ საღამოზე მან მხოლოდ ორი კუპლეტი ლექსი წაიკითხა, მაგრამ ხალხის აღტაცებას ბოლო არ ჰქონდა. კნეინა ნესტან ჩხირკედელაძისამ ხელიც გაუწოდა საკოცნელათ. თუ მეხსიერება არა მღალატობს ლექსი ასეთი იყო:

„მომიწვიეს ბატონებო,
რომ წაგიკიხოთ ლექსია,
მაგრამ ვის ძალუძს მითხარით
მუზა თვის ჭკვაზე ატაროს?
როცა შენ უხმობ, იფეთქებს
თოვლივით გაგიფრინდება....
როცა არ გინდა, მაშინ კი
ტვინსა ამოგჭამს თავშია“

უკანასკნელი სიტყვები არც კი დაეთავებია, მგოსანს, რომ ტაშის გრიალმა გადააყრუა მთელი სოფელი კატიხევი. მე ვაკვირდებოდი ზოგიერთა ახალგაზდა მგოსანს, რომელთაც ვერ დაემალათ შურის გრძნობა და თუმცა აშკარათ ვერა, მაგრამ ზურგს უკან ჩურჩულებდენ: — ეს თუ ლექსია მაშინ მე ჩინეთის ხემწიფე ვყოფილვარო.

ამ საღამოზე ჩვენ, მე და სოლომონი თითქმის დავმეგობრდით. ხშირ - ხშირათ ვხვდებოდით ერმანეთს და თავის გულის ზრახვებს ვუზიარებდით. არა მგონია დარჩენილიყოს მისი ვრცელი გულის წიაღში რაიმე საიდუმლო, რომელიც სოლომონს

ემხილოს ჩემთვის. ამიტომ ჩემს მეხსიერებას
აც თვალწინ უდგას დიდებული მგოსნის შფო-
ი ცხოვრება. განა ვის არ გაეგონება ის პირდა-
საგმირო ამბავი, რომელიც ახალგაზდა სოლო-
მა ჩაიდინა კნეინა თებრონე კუდხმელაძის
ალზე.

კნიაზნა ტურფა კუდხმელაძის ქალმა სრულიად
მოულოდნელათ მიაპყრო თვალი ცივად მოხარშულ
ნასუქ ბურვაკს, რომელიც ლაღათ გაწოლილიყო
ხონჩაზე სუფრის არდიგარდმო და წარმოსთქვა;

— ნეტავ თუ იქნება ქვეყანაზე ისეთი კმირი
ვაჟკაცი, რომელიც ამ ბურვაკს შესჭამს?

— შეუძლებელია!

— შეუძლებელია!

— შეუძლებელია! მოისმა სუფრის ყოვე-
ლი მხრიდან..

— რავქნა, ხომ არ გაგიჯდი შვილო! მთელი
ბურვაკი კაცმა შესჭამოს სად გაგონილა?
ცოტა წყენის კილოთი შენიშნა კნეინა თებრონემ,
ალბათ წინათგრძნობით შეშინებულმა, რა არის
მართლა არ გამოჩნდეს აქ ვინმე თავზე ხელაღებუ-
ლი გმირი და ბურვაკი არ შეიჭამოსო.

— დედიკო, შენ ისტორია არ იცი და ისე
ლაპარაკობ, — ალერსით წარმოსთქვა კნიაზნა ტურ-
ფამ, — ჩვენი მეფეები ისეთი გმირები ყოფილან,
რომ თითო კამეჩსა ყლაპამდენ თურმე.

— კამაჩებისა რა მოაგხსენოთ, მაგრამ ზაქებს
ჩვენი პატარა კახი, ერეკლე მეფე, ყოველ საუზმეზე
მიირთმევდა თურმე, — წარმოსთქვა თავადმა ზაალ
კუდხმელაძემ.

ამ ისტორიულ კამათში სოლომონს მონაწი-
ლეობა არ მიუღია, თუმცა სხვებზე კარგათ იცოდა,
რომ ზაქებს დავით ალმაშენებელი ყლაპავდა და
არა ერეკლე მეფე. არ მიუღია მონაწილეობა იმი-
ტომ, რომ კარგა ხანია მისი გამოცდილი თვალი
ზომავდა თვით ბურვაკის სიგრძე სიგანეს, სწონიდა
ცალკე ბეჭებს, ცალკე ბარკლებს, მკერდს, თავს
და სხვა ნაწილებს.

უნდა გაგიმხილოთ, რომ სოლომონსა და
კნიაზნა ტურფა კუდხმელაძეს შორის ტრფობის
ძაფი იყო გაბმული და თითოული შესახელება
ტურფასი განსაკუთრებულ ს ძლიერებით ხვდებოდა
გოსანის გულს და გამალებით ატოკებდა მას. აღ-
ნიშნულ დღეს ეს გამოძახილი უფრო ძლიერი იყო,
ვინაიდან სადილათ მოეწვიათ თავადი დურმიშხან
ხაშლამაძე, რომელიც სოლომონის მეტოქეთ ითვლე-
ბოდა. ამან შეჰქმნა განსაკუთრებული ტრაგიზმით
გაჟღენთილი მდგომარეობა და როცა დურმიშხან
ხაშლამაძემ წარმოსთქვა:

— იყო, ბატონებო, ყველაფერი ეს იყო,
არა თუ ზაქებს და კამეჩებს, არამედ ერთმა ბერმა
იონამ თურმე ველ-ველშაპიც კი ჩაყლაპა და სამ
დღეს მუცელში ყავდა...

— მერე, მერე... შესძახა გაოცებულმა ზაალ-
მა...

— მერე მე რავიცი... დიახ, ბატონებო, ყვე-
ლაფერი ეს იყო, მაგრამ იყო ძველათ, დღეს ჩვენ
ასეთი გმირები აღარა გვყანან...

— მე შევჭამ!..

გაისმა დინჯი, დარბაისლური და მომხიბლავათ
ტკბილი ხმა სოლომონისა და მისი მძლავრი თითები
მარწუხივით მოეჭიდა ხონჩას. ეს ორი ჩვეულებრივი
სიტყვა მეხივით გავარდა დარბაზში და შურით
აავსო ყველას გული, ვინც-კი კნიაზნა ტურფას
ყურადღების მიპყრობას ცდილობდა.

ამბავს არ გავაგრძელებ. საათ ნახევრის შემ-
დეგ ხონჩაზე მხოლოდ ბურვაკის ძვლები ეწყო
განსაკუთრებულის გულმოდგინეობით განსპეტაკე-
ბული და მწყობრი სიმეტრიით დალაგებული.

სახლში დაბრუნებისას სოლომონმა მუცლის
ტკივილი იგრძნო და განცვიფრებულს ვერ წარმო-
ედგინა რა მიზეზით უნდა მომხდარიყო ეს. მშობლე-
ბის კითხვაზე ის აუოელვებლათ უპასუხებდა:

— არ ვიცი, ღმერთმანი, ისეთი არაფერი
მიჭამია, რომ კუჭი დაემძიმებია.

ღამით, რაკი ტკივილმა იმატა და მდგომარე-
ობა გამწვავდა, სოლომონს ორი ჯამი საფაღარათო
ზეთი დაალევინეს.

— არ გასჭრა? შეეკითხა შეშინებული ზურაბი,
მამა სოლომონისა, თავის მეუღლეს.

— არ გასჭრა...

ჩქარა დაალევინეს კიდევ სამი ჯამი და სწო-
რეთ აი ამ მეხუთემ იქონია თავისი კეთილი გავლე
ნა.

მესამე დღეს სოლომონი ცოტა წამომჯობინდა
და ხუმრობით ამბობდა:

— ზეთმა ექვსი ჯამი, ზეთი ჭამა ბურვაკმა,
მე ბურვაკი შევჭამე.

სოლომონ ზურგიელიძე ღვინოშიაც არა ნაკლებ მძლავარი იყო. არა ერთი და ორი თავმომწონე ვაჟკაცი გაუხდია ხელით სატარებლათ თავისი ტოლუმბაშობის დროს, მაგრამ თითით საჩვენებლათ დარჩენილა მხოლოდ ის „ორი რეკორდი“ რომლის შესახებ მგოსანს თავის საიდუმლო დღიურში ეწერა:

ეჰ, ვაჰ, ტურფა, გენაცვალე
ვითა მძლიოს მე ბურვაკმა?
ისე მოვსპობ ჩემს მეტოქეს
როგორც ქორი წიწილასა.“

ტყვილათ როდი ბობს ქართული ანდაზა:

„არა რა მწამს დიაცისა,
არცა მოწმენდილი ცისაო,

ქ-ნმა ტურფამ, რომლისთვისაც ისე თავდადებით შეებრძოლა მგოსანი ბურვაკს, უღალატა სოლომონს და ვიღაც ვექილს, თუ ექიმს წაჰყვა. ამან მგოსანზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა და აშკარაა მის ამდროინდელ სულიერ განწყობილებას უნდა მიეწეროს დიდებული ლექსი:

„ხალხი ცხოვრობს გლახა დროში;
არ ეგედრებიან ღმერთსა,
თუ კი გნახეს სადმე ტყეში
მაშინვე ყელს გამოგვჭრიან...
ყველგან გაისმის ავობა
დაი ძმის ვხდებით მკვლელია
და არა ვფიქრობთ იმას რომ
აგი საზარილი საქმეა.
და ჩვენ რა ხალხშიც ავზდილვართ
იმისი აგვდის სულია,
მაშ მეც ვიქნები მკითხველო
დაუძლეველი ქართველი.
ვიდრემდის შემწევს ძალლონე
ვიტანჯვი სიცოცხლეშია,
სადაურ სადა მოვკვდები
სად გამითხრიან სამარეს“

ჩვენ სასიხარულოდ ის უნდა მივიჩნიოთ, რომ ამ გარემოებას წაუშლელი დაღი არ დაუსვამს გოსნის ნორჩი გულისათვის და დაკოდილი გრძნობა მალე გაუმთელდა.

ისტორიკოსი.

ამოცანა*)

„ბავშვებო. ერთმა. ვაჭარმა. იყიდა. დილა. ადრიანათ. ოცი. და. ათი. კვერცხ. ქათმის. დადებული!

თითო. კვერცხში. მისცა. თითო. კაპეიკი;

სამი. კვერცხი. გაყიდა. დალას. სამ-სამ კაპეიკათ;

ხუთი. გაყიდა. მერე. თითო. შაურათ;

ოთხი. გაყიდა. უფრო. მერე. შვიდ-შვიდ. კაპეიკათ;

ათი გაყიდა შვადღეზე ორ-ორ შაურათ

ექვსი გაყიდა სამხრობაზე ვამ სამ შაურათ.;

დანარჩენი. გაყიდა. საღამოს. თითო აბაზათ!

რამდენი. ფული, მოიგო. ვაჭარმა. აი. რას. ვკითხულობთ. ჩვენ;“

---

*)ეს საინტერესო ამოცანა თვით სოლომონ ზურგიელიძის მიერ არის შედგენილი, ჯერ კიდევ 67 წლის წინეთ, როცა ის მასწავლებლათ იყო სოფ. ჩ... სამრეკლო სკოლაში. მიუხედავათ ამ უზომო მანძილისა, ამოცანა დღესაც საინტერესოა არა მარტო ბავშვებისათვის, არამედ მოზრდილთათვისაც.

როგორც ამ ამოცანის გადმოცემი, ეთვალი მოწაფე სოლომონისა, სოდო დღევანდელი მსტოვანი მოდგა ტრიფონ ქიშვარდისძე ბელერიანიძე გადმოგვცემს, ზემოადნიშნულ ამოცანას დიდი აურზაური და მდელვარება გამოუწვევია შეუგნებელ მოწაფეთა შორის. უმრავლესობას უარი განუცხადებია: ჩვენ მაგას არ დავსხსნით, რადგანაც რომ ეს არ შეიძლება, დილას ნაყიდ კვერცხს სადმოს ბაზათ ვერ გაყიდდა. სოლომონი თურმე სრულიადაც არ დაიბნა და მოხდენილათ უპასუხა: ყველაფერი შეიძლება, რაც შესაძლებელია.

დღეს არავისთვის საიდუმლობას არ შეადგენს, რომ შესაძლებელია ფასის აწევა არა თუ საათობით, არამედ წუთობითაც. მაშინ კი ამის გაოვალისწინება მხოლოდ და მხოლოდ გენიოსს შეეძლო. გენიოსი კი მხოლოდ სოლომონ ზურგიელიძე იყო.

ყანწი.

სოლომონ ზურგიელიძის ხსოვნას,

(დეკეშები)

ქუთაისი ისედაც დამწუხრებული ქუთაისი, ღრმა გლოვით იგონებს ძვირფას მკვლელს სოლომონ ზურგიელიძეს. ორი წლის განმავლობაში არ დარჩენილა არც ერთი საზოგადო დაწესებულება, რომელსაც არ მოხდენოდეს გავლენას სოლომონის ღრმა აზროვანი და მოსწრებული ნაკვესები. ეს მით უფრო აშკარაა „პოგრომის“ შემდეგ. ეტნოგრაფიულ საზოგადოებაში აღმოჩნდა სოლომონის აფორიზმები, სადაც გარკვევით არის ნათქვამი ქუთაისში მომხდარ პოგრომზე:

ქუთაისი ქალაქია და კოლხიდის თვალი,
ბულვარი აქვს მშვენიერი სასეირნოთ ვარგა,
მარა ნახეთ რა იქნება თუ „პოგრომი“ მოხდა,
მაღაზიებს დაამტრევენ, ფართალს გაიტაცებენ

ნიშნათ პატივისცემისა ქუთაისის საზოგადოება მუხლს იდრეკს სოლომონის საფლავთან და ფიცს დებს არ უღალატოს მის იდეას.

ლადო

—

იმერეთი. დრამატიული საზოგადება ერთი კვირით აღრე შეუდგა სოლომონის ხსოვნის აღნიშვნის სამზადისს. ქართულ მწერლობას შეეძინა უკვდავი ნაწარმოები, აღმოაჩინეს მისი დრამა „წყალწითელა“ რომელიც დღეს იდგება.

თეატრის გამგე ბა.

—

ხონი. ხონის საშუალო სასწავლებელთა მოსწავლენი დიდ სიხარულს განიცდიან, ვინაიდან ქალთა გიმნაზიის მეექვსე კლასში აღმოჩნდა სოლომონის ნათესავი ქალი ხვარამზე. ნიშნათ პატივისცემისა მოსწავლენი ერთი დღით გაიფიცენ და მოითხოვენ ლათინურის მაგივრათ სოლომონის ლექსები ასწავლონ.

იორდანე გენძეხაძე.

—

სამტრედია. დღეს მოხდება მრავალრიცხოვანი მიტინგი. სხვა და სხვა სექციები წარმომადგენელნი სიტყვებს წარმოსთქვამენ. წინასწარ კრებაზე გადაწყდა გვირგვინების ნაცვლათ სოლომონის ფონდის გასაძლიერებლათ გახსნილ **გიმნაზიაში.**

გვრიტი.

—

ბათუმი. აჭარიდან და სხვა ადგილებიდან მრავალი დელეგატები მიდიან სოლომონის ხსოვნის აღნიშვნის დღისთვის. მათ თან მოაქვთ სახელმძღვანელო დირექტივები, რომელნიც კრებაზე გამოიტანა ხალხმა. სოლომონის ნაწერების გამოსაცემ ფონდის გასაძლიერებელათ დღეს დიდი საღამო გაიმართება.

ყვავი.

—

ქუთაისი. ქუთაისის მოსწავლე ახალგაზდობა, როგორც აღზრდილი სოლომონის ნაწერებზე მუხლს იდრეკს მისი დიდების წინაშე და ნიშნათ პატივისცემისა სამი დღით იფიცება, რომ ქალაქის ბაღის ირგვლივ შეჯგუფუნ და არავის მისცენ ნება გავლისა

მოსწავლეთა რევოლუციონური წრე.

—

ჩვენ მოვიყვანეთ უმთავრესი დეპეშების შინაარსი, ხოლო ფინაიდან ყველას მოთავსება შეუძლებელია, ამისთვის მარტო ზოგი მათგანის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით: მივიღეთ

ქუთაისიდან: კატო მიქელაძისგან, ქალთა წრიდან, გრიგოლ ლაღიძისაგან, მეექსეთა პროფესიონალურ კავშირადან, გაგლა მებუკისგან, შავი ქვის საბჭოდან, კანტორა „იმერეთიდან“, „მეგობრის“ რედაქციიდან, ია ეკალაძისგან, „სამშობლოდან“, ფედერალისტთა საბჭოდან, ნოქათა ერთი ჯგუფისგან, ქართული გიმნაზიის მოსწავლეთაგან, ქალთა წმ. ნინოს სასწავ. რევოლიუციონურ ჯგუფისაგან, „სოციალ-დემოკრატის“ რედაქციისაგან. გაღამ უბნის მცხოვრბთაგან და „შავი წერტილის“ ჯგუფისაგან.

—

დიდ ჯიხაში. სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელების კრებამ გადასწყვიტა სოლომონის სახელობის შკოლა დაარსონ გამოკიდონ ადგილობრივ სამკითხველოში სოლო-

მონის სურათი და 23 ოქტომბერს მოაწყონ სამგლოვიარო პროცესია, სადაც წარმოითქმება სიტყვები და შესაფერ რეზოლიუციებს გამოიტანენ.

ფონცქი.

—

აბსთუმანი. აბასთუმანი ყველა საავადმყოფოების მოსამსახურენი უკვდავი მგოსნის სოლოლომონ ზურგიელიძის გარდაცვალებიდან ორი წლის თავზე მისი ხსოვნის აღსანიშნავათ და სულის მოსახსენებლათ პანაშვიდს იხდიან. ხოლო მის სახლობაზე სანატორიაში ერთ საწოლს აარსებენ.

ქალების კომისარი.

—

ბაქო. ბაქოს ქართველი საზოგადოება ნიშნათ ღრმა პატივისთ მისა გზავნის ხუთ დელეგატს, რომელთა მოვალეობას შეადგენს სოკოთუბანში წარმოსთქვან სიტყვები.

წ. კ. საზ. გამგეობა.

—

ბორჯომი. პატარა ბორჯომიც არ ჩამორჩა სხვა კუთხეს და ჩვენი ერის ნაციონალურ გლოვის დღისათვის ძაძებში იმოსება. წ. კ. საზოგ. ადგილობრივი განყოფილება დიდ თათბირს აწყობს, სადაც უნდა გამომუშავდეს სოლოლომონის ძეგლის პროექტი, რომელიც სურთ პარკში დადგან. ირკვევა, რომ ბორჯომში სოლოლომონს მრავალი თაყვანის მცემელი ყავს, მომელთა შორის ზოგი მისი პირადი მეგობარია. იგზავნება დელეგატი სოკოთუბანში.

ქ ლთა წრე.

—

სიღნაღიდან. კოტე ტყავაძისაგან, ღურმიშხან მიქელაძისაგან, ქალთ საქორწინო ორგანიზაციდან, სოლოლომონის სახლობის სალიტერატურო წრიდან, ტასია ცალთვალაძიდან და ლამაზისეულიდან.

თფილისიდან. იოსებ იმედაშვილისაგან, ივანე გომართელისაგან, გაფიცულ მოწაფეთაგან, პირველი რაიონის თავისუფალ მოაზრეთა კ-ლექტივისაგან, კადეტების ორგანიზაციისაგან, სახალხო საქმიდან, მედროგე ვანოდან, პოლტეხნიკურის ქართველ სტუდენტებისგან, ქალთა უმაღლეს კურსების მსმენელთაგან და სხვა.

სოლომონის ხსოვნას

(ფუტურისტების ხმაზე)

მოკვდა მგოსანი, მიიცვალა ალმური ცისა,
დადუმდა ბაგე არ მეტყველობს ენა ვით წყლისა
და გლოვა ჩვენი უიმედო სრული ორ წლისა
გვაწევს ვით ლოდი საუკუნის მრავალი ხნისა.
ლამაზ ქალწულებს კოცნას ვართმევთ, კოცნას
გრძნეულსა,
და გრძნობას ჩვენსას მწუხარებით სავსეს, ძლეულსა,
თაიგულათ ვკრავთ, რომ საფლავი მითი შევამკოთ
და მგოსნის ხსოვნა საგალობლით ასე შევაქოთ.
ჰეი თქვენ ხალხო, უგნურო და მთვრალო ეშხითა,
მოდით დღეს ჩვენთან სავსე სუფრით, სავსე თეფშითა,
ვადავკრათ ღვინო, სოლომონსა ასე უყვარდა,
თორემ ჭიქებში ღვინო იგი ძალზე აძმარდა.
დღეს ჩვენ საფლავზე ფარჩის კაბებს დავფხრეწთ და
დავხევთ
მთელ საქართველოს ცრემლთა ზღვაში ვაცურებთ-
გავხვევთ.
მოდით ქოშებით, ჭიქის ყელი გალობდეს უნდა
ძველი ელინთა რობაქიძე ჩვენში დაბრუნდა.
ვფიცავთ სოლომონს, ვფიცავთ მისსა პოეზიასა,
ვფიცავთ მის შვილებს, ნათესავებს, მოხუც ძიასა,
ვიფიცავთ ხსოვნას ძვირფას მგოსანს გარდაუვალსა
ვფიცავთ მეუღლეს პირზე მისსა შაესა ვუალსა
ჩვენ არ მოვშორდეთ საფლავს მისას, ქოშით
დავადგეთ,
რომ იმ ქვეყანას საცხონებლათ მის სულს წავადგეთ.
ტანისა რხევა, ფიტველ ფეხთა ოცნების ცეკვა
და სოკოთუბნის ეკლესის ზარების რეკვა,
მთელსა სამყაროს შეაძწუნებს და შეაშფოთებს
ხოლო ძაღლები თავის ყეფით მთლათ ააქოთებს.
ვარსკვლავებს დავგლეჯთ, მთვარეს გავტეხთ, მზეს
დავაბნელებთ,
ქვეყნის ვაებას კიდევ უფრო ჩვენ გავაძნელებთ,
თუ არ გამოჩნდა ლეგიონი ცრემლ მორეული:
და სატრფოც ჩვენი ფარჩის კაბით სულ შორეული
ალბათ მოგვისწრებს, კოცნას არი იგი ჩვეული.
ჰე სოლომონჯან! სული ჩვენი შფოთავს ვით ნესვი,
ჩვენსა დიდებას შენ გაუდგი პირველათ ფესვი,
მადლობის ნიშნათ მოგადგება დღეს შენი ხალხი
(ნეტა გაჩვენა, როგორ გვშვენის ეგფარჩა თალხი)
და ორი წლისა მწუხარება გულში ნაგული
გადმოინთხევა შენ საფლავზე, ვით კინტოს ჩხული.

ხუნაგი.

პირველი ვაჟი

ესეც მეორე იშვიათი სურათია და გამოხატავს იმ სიხარულსა, რომელიც გამოიწვია სოლომონის დაბადებამ ზურაბ ზურგიელიძის ოჯახში. მოგეხსენებათ, რომ ის პირველი ვაჟი იყო ზურაბისა.

რედაქტორი ეშმაკი. სტამბა ვ. რუხაძისა, გაბაევის შესახვ. № 1.